ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №24

აბაშა, 2023 წლის 28 აპრილი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე მუხლის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მეორე პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი" შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, გასცეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: აბაშა, სოფ. ქოლობანში, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4214.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა 140.00 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №40.14.32.563).
2. უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობა) იჯარის ქირის საწყისი წლიური საფასური შეადგენს 11800.00 (თერთმეტიათასრვაასი) ლარს, „ბიჯის" ოდენობა განისაზღვროს ქონების იჯარის ქირის საწყისი წლიური საფასურის 2%-ის ოდენობით, უპირობო და გამოუხმობი (საგარანტიო თანხა) „ბე"-ს ოდენობა განისაზღვროს ქონების იჯარის ქირის საწყისი წლიური საფასურის 30%-ის ოდენობით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია